მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი "30 " ნოემბერი 2022 წ.

ერთი მხრივ, **შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი"** (საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045) წარმოდგენილი მისი რექტორის - ვალენტინა საყვარელიძის სახით და მეორე მხრივ, ___**სს თბილმიკროკრედიტის**__ წარმოდგენილი მისი ფინანსური დირექტორი - _**ნუნუ გიგაური**_____ სახით, პიროვნების ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პროფესიული პოტენციალის რეალიზების, უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტსა და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და ამავე პროგრამების სტუდენტთა თეორიული ცოდნის, პრაქტიკული გამოყენების უნარ–ჩვევების განვითარების, ასევე, მათი დარგობრივი კომპეტენციების ფორმირების ხელშეწყობის, შრომის ბაზრის მოთხოვნილებების ადეკვატური სამედიცინო კადრების მომზადებისა და გამოვლენის მიზნებიდან გამომდინარე, თანხმდებიან შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

2. მემორანდუმის მიზანი

2.1. უმაღლესი და პროფესიული განათლების განვითარებაში წვლილის შეტანა, მაღვალკვალიფიციური, კომპეტენტური კადრებით შრომის ბაზრის უზრუნველყოფა, ურთიერთთანამშრომლობის ისეთი სისტემის ფორმირება, რომელიც შეესაბამება განათლების საერთაშორისო სტანდარტებსა და თანამაედროვე კარიერული წინსვლის მოთხოვნებს.

2.2. ერთობლივი მიზნობრვი პროგრამების/პროექტების, კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა, შემუშავება და განხორციელება, რომლებიც მიმართულია დარგის განვითარების, საგანმანათლებლო-სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების, აკადემიური სწავლების გაუმჯობესების, ჯანსაღი თაობის ფორმირებისა და პიროვნული განვიტარების სრულყოფისაკენ.

3. მხარეთა უფლება- მოვალეობები

მემორანდუმის მიზნების მისაღწევად, მხარეები უზრუნველყოფენ

3.1. ერთობლივი პროექტების განხორციელებას, რომელიც მოიცავს:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მოქმედი პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტილული კომპონენტის უზრუნველყოფას; უნივერსიტეტის მიერ გასაგზავნი სტუდნეტების რაოდენობა განისაზღვრება სემესტრულად 5/10 სტუდენტით;

ბ) ერთობლივი კონფერენციების, მასტერკლასების, და სხვა აქტივობების განხორიციელებას.

გ) ერთობლივი მზინობრივი პროექტების, კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას, შემუშავებას და განხორციელებას.

დ) სტუდენტთა სალექციო, საწარმოო და კლინიკური პრაქტიკული კურსის გავლას.

ე) სტუდენტების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა განსაზღვრას, მიმღები დაწესებულების კომპეტენციიდან, მიმღები დაწესებულების სამსახურებრივი საჭიროებიდან და სილაბუსით გათვალსიწინებული შინაარსიდან გამომდინარე;

ვ) მენტორის (სტუდნეტთა მიერ პროფესიული პრაქტიკის გავლის ზედამხედველი პირი, რომელიც გამოიყოფა მიმღები დაწესებულების თანამშრომელთაგან) გამოყოფას;

ზ) კურსების გავლისას ყურადღება დაეთმობა და გათვალისწინებული იქნება პროგრამაზე რეალიზებული პრაქტიკული კურსის სილაბუსი.

თ) კურსის გავლასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტას.

მხარეები, ზემოხსენებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და დაგეგმილი თანამშრომლობის პრაქტიკული რეალიზაციისათვის, უფლებამოსილნი არიან, საჭიროების შემთხვევაში, გააფორმონ ხელშეკრულებები.

4. კონფიდენციალობა.

მიმღებ დაწესებულებაში პრაქტიკულ სწავლებაზე მყოფი სტუდენტები ვალდებულნი არიან დაწესებულების შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პრაქტიკის გავლის პერიოდში, ისე მისი დამთავრბეის შემდეგ.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. მხარეთა მიერ მის შეწყვეტამდე.

6.2. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ფინანსური დირექტორი -

მხარეთა რეკვიზიტები

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი"

ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის N31

რექტორი

ვალენტინა საყვარელიძე